ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N2.9.11/10/093

ქ. თბილისი 6 ივლისი 2017 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნაძალადევის რაიონის გამგეობა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი **გამგებლის ირაკლი ხელაძის** სახით და მეორე მხრივ შპს „საპროექტო ჯგუფი" ("შემდგომში მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი ტოროშელიძის** სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე (გადაუდებელი აუცილებლობა), შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - ქ. თბილისში, ღუდუშაურის ქ. N27 და N29 მიმდ. ტერიტორიაზე არსებული საყრდენი კედლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, რომლის პირობებიც განსაზღვრულია ხელშკრულების დანართში N1.

2.2. შესყიდვის საშუალება - გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული მაგარტივებული შესყიდვა.

2.3. შესყიდვების სააგენტოს სისტემის SMP მოდულში მიმართვის რეგისტრაციის ნომერი SMP170001665.

2.4. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **4000** (ოთხი ათასი) ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.

2.5. კლასიფიკატორის კოდი - 71320000;

2.6. ხელშეკრულება ძალაშია და მოქმედებს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით, გარდა ამავე ხელშეკრულების მე-3 მუხლის მე -5 პუნქტისა.

3. მომსახურების გაწევის პირობები, მიწოდების ადგილი და ვადა

3.1. შესყიდვის ობიექტის - გაწეული მომსახურების მიწოდების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 4 აგვისტოს ჩათვლით.

3.2. საპროექტო დოკუმენტაცია მიმწოდებლის მიერ ექსპერტიზისთვის წარედგინება ააიპ „თბილისის მუნიციპალურ ლაბორატორიას". ექსპერტიზის მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი;

3.3. მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება და შესრულებული სამუშაო დათქმულ ვადაში მიღებულად ჩაითვლება ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის" მიერ გაცემული დადებითი (შესრულებული სამუშაოს თაობაზე) საექსპერტო დასკვნის შემთხვევაში;

3.4. ექსპერტიზაგავლილი საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, სანზონა, კორპ. N16 მიმდებარე ტერიტორია - ნაძალადევის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა;

3.5. საავტორო ზედამხედველობის განხორციელების ვადა - შედგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიმდინარე სამუშაოების მთელი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მოახდინოს დოკუმენტაციის კორექტირება.

4. გასაწევი მომსახურების ხარისხი

4.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი;

5.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნაძალადევის რაიონის გამგეობის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და პროექტირების განყოფილების თანამშრომლები:

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი;

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი:

6.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

6.2. შესყიდვის ობიექტზე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება და შესრულებული სამუშაო დათქმულ ვადაში მიღებულად ჩაითვლება ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის" მიერ გაცემული დადებითი (შესრულებული სამუშაოს თაობაზე) საექსპერტო დასკვნის შემდგომ;

6.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნაძალადევის რაიონის გამგებლის მოადგილე - <u>ბ. ხუციშვილი,</u> ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და პროექტირების განყოფილების მთავარი სპეციალისტები - <u>რამაზ სამნიაშვილი</u> და <u>მერაბ ხურცია</u>.

6.4. შემსყიდველი ვალდებულია აცნობოს მიმწოდებელს საპროექტო დოკუმენტაციაში რაიმე წუნის (ხარვეზის) აღმოჩენის შესახებ, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია შენიშვნის გაცნობიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას საპროექტო დოკუმენტაციაში აღმოჩენილი წუნი;

6.5. მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში;

7.2. ანგარიშსწორება მოხდება 2017 წლის ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, გაწეული მომსახურების მოცულობების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

7.3. მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის ან სხვა გარემოებების გათვალისწინებით პირგასამტეხლოს დაკისრებების შემთხვევაში, ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია უარი თქვას სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს თანხის სრული ოდენობით დაფარვამდე.

7.4. შეტყობინებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში მიმწოდებლის მიერ საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, მიმწოდებელი თანახმაა მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურებამდე, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა შემსყიდველის მიერ მიმართულ იქნეს ბიუჯეტის ერთიან ანგარიშზე, რის შემდეგაც მიმწოდებელს ჩაერიცხება დარჩენილი თანხა.

7.5. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)

8.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები;

8.2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას წერილობითი დავალებით განსაზღვრული ან მომსახურების მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს პირგასამტეხლო შემსყიდველს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0.5%-ის ოდენობით;
8.3. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებელი, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, დაჯარიმდება ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.
8.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ორჯერ დარღვევის ან ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი დაჯარიმდება ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით;
8.5. საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში;
8.6. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ;
9.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, ხოლო შემსყიდველმა აცნობოს მიმწოდებელს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი.
9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;
ბ) მიმწოდებლის მიერ მომსახურების საბოლოო ვადის 10 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების ან მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში.
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ფორსმაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორსმაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორსმაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.
10.2. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე

მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.4. იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია, შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულება იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებეულებების მთლიანი ან ნაწილობრივი უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

13. ღირებულება

13.1. მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა;

13.2. ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების (ერთეულის ფასის) შეცვლა დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა;

13.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა;

13.4. ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

14. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

14.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით;

14.2 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს;

14.3. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

14.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ცვლილების (მათ შორის, მიწოდების ვადების შეცვლის) მოთხოვნის შემთხვევაში, განაცხადი უნდა შეიცავდეს მოთხოვნის საფუძველ(ებ)სა და მის

დამადასტურებელ დოკუმენტ(ებ)ს. ასევე, მოთხოვნა წერილობითი ფორმით წარდგენილ უნდა იქნას შემსყიდველი ორგანიზაციის ოფიციალურ მისამართზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი ობიექტის მიწოდების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით;

15.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს;

15.3. ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს;

15.4. ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები;

15.5. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. სხვა პირობები

16.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;

16.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

16.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც იგი წერილობითი ფორმით შედგენილი ხელმოწერილი იქნება მხარეთა მიერ.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობა	შპს „საპროექტო ჯგუფი“
მის: ქ. თბილისი, სანზონა კორპ16 მ/ტ	მის: ქ. თბილისი, გლდანი მ. წერეთლის ქ. # 35
ს/კოდი: 200279527	ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი"
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი LBRTGE22
ბანკის კოდი: TRESGE22	ა/ა GE06 LB01 1314 2202 831 000
ა/ა #GE24NB0330100200165022	სადენტიფიკაციო კოდი: 400108860
ტელეფონი: +99532 2371076	ტელ: 577 157562
გამგებელი---------- **ირაკლი ხელაძე**	**დირექტორი**---------- **გ. ტოროშელიძე**

დანართი №1

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის პირობები

- **ქ. თბილისში, ღუდუშაურის ქ. N27 და N29 მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საყრდენი კედლის აღდგენა, კედლის სიგრძე-25 გრძ.მ-მდე, საშუალო ტანის სიმაღლე 5 მ-მდე.**

1. 1. საყრდენი კედლის მოწყობის ან რეაბილიტაციის აუცილებლობის გამომწვევი მიზეზების ანალიზი და ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა;
1. 2. სათანადო საკვლევ-საძიებო სამუშაოების საფუძველზე საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის მომზადება;
1. 3. სამშენებლო უბანზე მდებარე (გამავალი) კომუნიკაციების ტოპოგეგმაზე დატანის შეთანხმება შესაბამის ორგანიზაციებთან;
1. 4. სამუშაოთა მოცულობების ზუსტ აღწერა და უწყისის შედგენა;
1. 5. მუშა ნახაზების (მ.შ. გეგმები, პროფილები, კვანძები, ჭრილები) მომზადება;
1. 6. არსებული ნორმების საფუძველზე გამარტივებული ექვსპუნქტიანი ხარჯთაღრიცხვის შედგენა, მათ შორის რესურსული მეთოდით, მიმდინარე საბაზრო ფასებით;
1. 7. სრული საპროექტო დოკუმენტაციის (მ.შ. „მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის") წარმოდგენა ელექტრონული ვერსიის (DWG და PDF ფორმატში) და ნაბეჭდი სახით (ოთხ ეგზემპლარად);
1. 8. სამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს საავტორო ზედამხედველობა.

შემსყიდველი
ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობა

გამგებელი---------- **ირაკლი ხელაძე**

მიმწოდებელი
შპს „საპროექტო ჯგუფი"

დირექტორი---------- **გ. ტოროშელიძე**